ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N12

2021 წლის 29 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე არსებული 18.6 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე (ს/კ №20.42.04.385) არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ვადით საქართველოს პარლამენტში ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ფუნქციონირების მიზნით;

2. ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე საქართველოს პარლამენტში ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს 18.6 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე საწყისი წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი